

საინფორმაციო ფურცელი

შენიშვნა: აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს დაზღვევის პირობების შესახებ არასრულ ინფორმაციას. საინფორმაციო ფურცელი არ არის დაზღვევის ხელშეკრულების იდენტური იურიდიული ძალის მქონე და მისი გაცნობა და სადაზღვევო კომპანიის მიერ მასთან დაკავშირებული განმარტებების გაკეთება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს და მოთხოვნებს მხარეთა შორის

- მზღვეველი: სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“ (ს/კ 205023856)  
მისამართი: ქ. თბილისი, ვ. ბოჭორიშვილის ქ. #88/15
- დაზღვევის ხელშეკრულების სახე: ქონების დაზღვევა
- ანაზღაურების ლიმიტი:

ქონების ფართი	<180 კვ.მ
ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი	90 000 ლარი
ანაზღაურება 1 კვ.მ-ზე	500 ლარი
შიგთავსის ქველიმიტი	15000 ლარი
ფრანშიზა	100 ლარი
დაზღვეულ ან/და მეზობლის ფართში კანალიზაციის, წყალგაყვანილობის სისტემების მწყობრიდან გამოსვლით დაზღვეული ქონების დაზიანება ან განადგურება	500 ლარი

ფრანშიზა არის სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ზარალის ნაწილი, რომელსაც მზღვეველი არ აანაზღაურებს. მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი ზარალზე, რომლის ოდენობა არ აღემატება ფრანშიზას, დანარჩენ შემთხვევაში, ყოველი ზარალი ანაზღაურდება ფრანშიზის თანხის გამოკლებით.

- ფინანსური ხარჯი სადაზღვევო პრემიის გარდა: დამზღვევის ინიციატივით დაზღვევის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, პოლისზე ზარალის არარსებობის შემთხვევაში დამზღვევი ვალდებულია, გადაიხადოს გამომუშავებულ პრემიას დამატებული 20 (ოცი) ლარი, მაგრამ არაუმეტეს სრული სადაზღვევო პრემიისა
- სადაზღვევო დაფარვები და გამონაკლისები:

დაფარვები	არ ანაზღაურდება
ხანძარი	
აფეთქება	
მეზობელი ფართიდან წყლის გამოჟონვის შედეგად მიყენებული ზარალი	

კანალიზაციის, ელექტროგაყვანილობის, წყალგაყვანილობის სისტემების მწყობრიდან გამოსვლით დაზღვეული ქონების დაზიანება ან განადგურება.	*ავტომატური ჩამქრობი/სარწყავი სისტემიდან გამონადენი წყლით განადგურება ან დაზიანება; *გაზრდილი ტენიანობის შედეგად გამოწვეული ზიანი; *სისტემის მოხმარების წესების დარღვევის შედეგად გამოწვეული ზარალი; *საცურაო აუზიდან წყლის გაჟონვით გამოწვეული ზიანი; *ასევე დანაკარგი ან ზიანი დამდგარი - წყლის მიღების, ჭაბურღილების, საქვაბეების, ან აპარატურების შეკეთების, ამოღების ან გადიდების პროცესში;
მესამე პირთა ვანდალიზმით გამოწვეული ქონების დაზიანება	
ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა	
შტორმი, ქარიშხალი	
სეტყვა	
წყალდიდობა	*სადრენაჟო სისტემის არასწორი შენახვის ან არასწორი სარგებლობის შედეგად დამდგარი ზიანი ან დანაკარგი; *ზიანი ან დანაკარგი დამდგარი ღია ადგილას მდებარე ქონებაზე;
მიწისძვრა	
ფიქსირებული მინების დაზიანება	
დამქირავებლის მიერ დაუდევარი ქმედებით დამდგარი ზიანი	*თავად დამქირავებლის საკუთრებაში არსებული ქონებისთვის მიყენებული ნებისმიერი ზიანი; *ზიანი, რომელიც გამოწვეულია დამქირავებლის უხეში გაუფრთხილებლობით ან/და განზრახ ჩადენილი ქმედების შედეგად;

➤ დაფარვები, რომლის დამატებით შეძენა არის შესაძლებელი:

დაფარვები	არ ანაზღაურდება
მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა	<ul style="list-style-type: none"> <li>○ დამქირავებლის პასუხისმგებლობა დაქირავებულთა წინაშე;</li> <li>○ სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების ან მათი მართვის შედეგად დამდგარი ზიანი;</li> <li>○ ფიზიკური ან კანონიერი კონტროლის ქვეშ არსებული ქონება (იჯარით აღებული ქონება);</li> <li>○ მუშაობის/მასზე ზემოქმედების პროცესში მყოფი ქონება;</li> <li>○ დაბალი ხარისხის სამუშაოებით გამოწვეული ზიანი;</li> <li>○ პროფესიული პასუხისმგებლობა, ჯარიმები, გაზრდილი ხარჯები;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>○ აზბესტით გამოწვეული ზიანი;</li> <li>○ ნებისმიერი სახის მორალური ზიანი;</li> <li>○ სარეკლამო პასუხისმგებლობა;</li> <li>○ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობით დამდგარი ზიანი;</li> <li>○ თამბაქო ან თამბაქოს ბოლით გამოწვეული ზიანი;</li> <li>○ მშენებლობის დროს დამდგარი ზიანი;</li> <li>○ დამზღვევის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული ზიანი;</li> <li>○ ფეთქებადი ნივთიერებების შენახვით და მომარაგებით დამდგარი ზიანი.</li> </ul>
--	--

➤ დაზღვევით არ იფარება ზარალი, რომელიც გამოწვეულია (ზოგადი გამონაკლისები):

- ზიანით, რომელიც დადგა სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე, მაშინაც კი თუ მათი აღმოჩენა მოხდა მხოლოდ სადაზღვევო პერიოდის დაწყების შემდეგ.
- დაზღვეული ქონების დეფექტით, ბუნებრივი ცვეთით, დეფორმაციით.
- შენობის ცუდი მდგომარეობით ან ქონების არასწორი გამოყენებით.
- საომარი მოქმედებებით (მიუხედავად იმისა, გამოცხადებულია თუ არა საომარი მდგომარეობა), სამოქალაქო მღელვარებით, ამბოხებით, შეიარაღებული კონფლიქტით, გაფიცვით, სამხედრო გადატრიალებით, რევოლუციით, კონფისკაციით, რეკვიზიციით, დაპატიმრებით/დაყადაღებით, სამხედრო ან სამოქალაქო ხელისუფლების განკარგულებით ქონების დაზიანებით ან განადგურებით, ტერორისტული აქტით, პოლიტიკური მოტივით მოქმედი ნებისმიერი პირის ან პირთა ჯგუფის ქმედებებით.
- რადიაციით ან რადიოაქტიური დაბინძურებით; რადიოაქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი და სხვა საშიში ნივთიერებების ზემოქმედებით.
- დამზღვევის ან დაზღვეულის განზრახ ქმედებით, უხეში გაუფრთხილებლობით ან დაუდევრობით.
- ზიანით, რომელიც მიადგა ქონებას, რომელიც ინახება დაზღვეული ქონების გარეთ ან მიმაგრებულია შენობის გარეთა მხარეს, გარდა დაზღვეულ ქონებაზე / შენობაზე გარედან დამონტაჟებული გათბობის ან გაგრილების სისტემებისა.
- ქონების დაზიანებით ან განადგურებით, რომლის გადარჩენაც დამზღვევის/დაზღვეულს შეეძლო, მაგრამ არ გადაარჩინა.
- მღრღნელებით ან სხვა მავნებლებით.
- დაზღვეული ნივთის ან მისი ნაწილის გაუჩინარებით.
- დაბინძურებით.
- თვითაალებით, დუღილით, ლპობით, ობით და სხვა ბუნებრივი პროცესებით.
- გაუფასურებით, ამორტიზაციით, ცვეთით.
- სხვა რისკებით, რომლებიც არ არის აღნიშნული სადაზღვევო რისკებში.
- დაზღვეული ქონების ნებისმიერი სახის მექანიკური დაზიანებით ან მწყობრიდან გამოსვლით.
- ნებისმიერი არაპირდაპირი ზიანით.
- პირდაპირი ან არაპირდაპირი კიბერ რისკების შედეგად.

შენიშვნა: კიბერ რისკების განმარტება: ქონების დაზიანება წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით ნიშნავს დაზღვეული ქონების ფიზიკურ დაზიანებას. ქონების ფიზიკური

დაზიანება არ მოიცავს და, შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებით არ იფარება, მონაცემთა ბაზების ან პროგრამული სისტემების ისეთ ზიანს, რომელიც იწვევს საზიანო ცვლილებებს მონაცემთა ბაზებში, პროგრამულ თუ სხვა კომპიუტერული უზრუნველყოფის სისტემებში და გამომდინარეობს მონაცემთა წაშლით, არაკეთილსინდისიერი და თაღლითური გზით მათი შეცვლით ან განადგურებით.

შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებით არ იფარება:

- მონაცემთა ბაზების ან პროგრამული სისტემების ისეთი ზიანი თუ ზარალი, რომელიც იწვევს საზიანო ცვლილებებს მონაცემთა ბაზებში, პროგრამულ თუ სხვა კომპიუტერული უზრუნველყოფის სისტემებში და გამომდინარეობს მონაცემთა წაშლით, არაკეთილსინდისიერი და თაღლითური გზით მათი შეცვლით ან განადგურებით და ამის შედეგად დამდგარი საქმიანობის შეჩერებისგან წარმოქმნილი ხარჯები. აღნიშნული გამონაკლისის მიუხედავად, წინამდებარე პირობების მიხედვით დაიფარება მონაცემთა ბაზების ან პროგრამული სისტემების ისეთი ზიანი თუ ზარალი, რომელიც გამომდინარეობს ქონების ფიზიკური დაზიანების შედეგად.
- ზიანი ან ზარალი, რომელიც გამოწვეულია მონაცემთა ბაზების ან პროგრამული უზრუნველყოფის სისტემების ფუნქციის გაუარესებით, მოშლით, დაკარგვით, ვერ გამოყენებით ან დაზიანებით და მისგან გამომდინარე საქმიანობის შეჩერების ხარჯები.
- ქურდობით, ძარცვით, ყაჩაღობით, თუ დაზღვეული ქონება მეთვალყურეობის გარეშე იმყოფება 30 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით.
- ზიანით, რომელიც გამოწვეულია დაზღვეულ ფართში წყლის ან სეტყვის შეღწევით ღია ფანჯრებიდან, კარებიდან, ღიობიდან.
- ზიანით, რომელიც გამოწვეულია აივანზე/ვერანდაზე განთავსებული შიგთავსის ერთეულების ან/და მოწყობილობების დაზიანების შედეგად გარდა ხანძრის რისკისა (წინამდებარე პირობა არ ეხება გათბობის/გაგრილების აგრეგატებს).
- არ იფარება დანაკარგი ან ზიანი, რომელიც დადგა ქონების რემონტის შეკეთების, მონატაჟის, დემონტაჟის შედეგად.
- დაზღვევით არ დაიფარება ზარალი, რომელიც წარმოიქმნება დაზღვეული ქონების ცეცხლით დამუშავებისას, სითბური ან სხვაგვარი თერმული ზემოქმედების შედეგად, ბუნებრივი ფერმენტაციის ან ქონების ბუნებრივი თვისებებიდან გამომდინარე თვითაალების შედეგად.
- არ იფარება ზარალი, რომელიც დადგა დაუდგენელ ვითარებაში.
- არ იფარება ისეთი ქონება ან მასში განთავსებული შიგთავსის ერთეულები, რაც არ წარმოადგენს შენობის განუყოფელ ნაწილს.

ასევე, დაზღვევას არ ექვემდებარება:

- დაზღვეული ქონების კონსტრუქციული ნაწილი.
- ნაღდი ფული, ქვითრები, მარკები, ობლიგაციები, ფასიანი ქაღალდები, საბუთები, ლატარიის ბილეთები, საკრედიტო ბარათები, ხელნაწერები, ნახაზები, ნიმუშები, გეგმები, ფოტოსურათები.
- ძვირფასეულობა, მათ შორის ძვირფასი ქვები, ძვირფასი ლითონები, ძვირფასი ბეწვეული.
- განსაკუთრებული ისტორიული ან კულტურული ღირებულების მქონე ნივთები, ანტიკვარიატი, იშვიათი წიგნები ან ხელოვნების ნიმუშები, მედლები.
- ნებისმიერი სახის მინა, რომელიც არ არის ფიქსირებული. ასევე ფაიფური, თიხა, მარმარილო ან სხვა ადვილად მსხვრევადი ნივთები.

- ასაფეთქებელი ნივთიერებები.
- კომპიუტერისა და სხვა სახის ანალოგიურ სისტემებში არსებული ტექნიკური საინფორმაციო საშუალებები (მაგნიტური ბლოკი, მაგნიტური ლენტა, საინფორმაციო ბლოკი და სხვა) და ინფორმაციის სხვა მატარებლები.
- ნებისმიერი სახის გადამცემი და გამანაწილებელი ხაზები.
- ცხოველები, ფრინველები, თევზები, ქვეწარმავლები და რეპტილიები.
- გადაზიდვაში მყოფი ქონება. ასევე დაზღვევის პოლისში მითითებული ქონება, თუ მოხდა მისი გადაადგილება დაზღვევის ტერიტორიიდან.
- დანგრევის, აშენების, რემონტის ან მონტაჟის პროცესში მყოფი ქონება ან/და მასში მდებარე ნივთები ან/და მასალები.
- მიწა (მათ შორის ნიადაგის ზედაპირი, სადრენაჟო არხი, წყლის გამტარი მილი), გზა, ტროტუარი, ბილიკები, თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- მიწისქვეშა ქონება.
- მცენარეები, ნარგავები, მარცვლეული კულტურა და ხეები.
- ქონება, რომელიც დაზიანდა მასზე ზემოქმედების პროცესში.
- კვების პროდუქტები.
- ელექტრო მოწყობილობები ინსტალაციის, გადატანის ან გადაადგილების, დემონტაჟის, მონტაჟის, გადაკეთების პროცესში, თუ ეს პროცესი უშუალოდ მოქმედებს მათზე.
- შენობა, რომელიც აგებულია 60 ან მეტი წლის წინ.
- შენობები ან ნაგებობები და მათში განთავსებული ქონება, რომელიც კომპეტენტური ორგანოების მიერ აღიარებულია ავარიულად, არ ჩაითვლება დაზღვეულად.
- ხის სახლები.

აგრეთვე, სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა თუ:

- დამზღვევი, როგორც სადაზღვევო პოლისის მიღებამდე, ისე მისი მოქმედების ვადის განმავლობაში, არ შეატყობინებს მზღვეველს უტყუარ ინფორმაციას, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სადაზღვევო რისკის სახისა და ხარისხის განსაზღვრისათვის;
- დამზღვევი არ განაცხადებს მომხდარის შესახებ კომპეტენტურ ორგანოებში, ან შემთხვევის ფაქტი კომპეტენტური ორგანოების მიერ არ დასტურდება;
- დამზღვევმა, ჰქონდა რა ამის საშუალება, განსაზღვრულ ვადაში, წერილობით არ განუცხადა მზღვეველს ზიანის დადგომის შესახებ, ან თუ მის მიერ მითითებული ფაქტები არასწორია ან არ მიაწოდა სრულად მის ხელთ არსებული ინფორმაცია;
- დამზღვევმა შემთხვევის დადგომამდე არ განუცხადა მზღვეველს ქონების ექსპლუატაციის პირობების შეცვლის შესახებ ან ქონების დაზღვევის განაცხადში მითითებული მონაცემები სინამდვილეს არ შეესაბამება;
- დაზღვეული შენობა ან დაზღვეული ქონება მიტოვებული იქნება 30 დღის განმავლობაში და მზღვეველი ამის შესახებ წერილობით არ იქნა გაფრთხილებული;
- დამზღვევის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ დაზღვევის ან/და სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნა მოხდება სიყალბის ან/და თაღლითობის გამოყენებით დაზღვევისაგან დაუმსახურებელი სარგებლის მიღების მიზნით;
- დაარღვევს სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უსაფრთხოების ზომებს;

- დამზღვევი არ გადაიხდის პრემიას სადაზღვევო პოლისში განსაზღვრულ ვადებში;
  - დამზღვევი არ წარმოადგენს სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრულ დოკუმენტებს;
  - დამზღვევი დაარღვევს ქონების დაზღვევის პირობებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს;
- სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველისთვის შეტყობინების გაგზავნის, მოთხოვნის წარდგენის, სადაზღვევო შემთხვევის რეგულირების და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ფორმები და ვადები:
- დამზღვევი ვალდებულია, სადაზღვევო შემთხვევის აღმოჩენისთანავე აცნობოს მზღვეველს მომხდარის შესახებ ცხელ ხაზზე: 2 949 949 და შეატყობინოს წერილობით არაუგვიანეს 48 საათისა. წერილობითი მოთხოვნა, უნდა შეიცავდეს ზარალის დეტალურ აღწერას, დაზიანებული/დაკარგული ნივთების, მათი ღირებულებების და ზიანის საერთო ოდენობის მითითებით. გათვალისწინებული იქნება დაზიანებული ქონების ღირებულება ზარალის დადგომის მომენტში;
  - დამზღვევი ვალდებულია, ზიანის დადგომის შესახებ განაცხადის შევსებიდან ერთი თვის განმავლობაში წარმოადგინოს საქმის წარმართვისთვის აუცილებელი დოკუმენტები, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას მიღებული შეტყობინება ზარალის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად;
  - დამზღვევი ვალდებულია, თავისი ხარჯით მიაწოდოს მზღვეველს ყველა სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზის და ოდენობის დასადგენად აუცილებელი საბუთი და მოთხოვნასთან დაკავშირებული ყველანაირი ინფორმაცია. ასევე ზარალის მიზეზი და გარემოება, რომლის დროსაც დადგა ზარალი;
  - მზღვეველი ვალდებულია, ზიანის შესახებ განაცხადისა და თანდართული მასალების მიღებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში დაიწყოს გამოძიება დაზღვეული ქონების განადგურების ან დაზიანების გამომწვევი მიზეზების და გარემოებების შესახებ. გამოძიების დამთავრების შემდეგ, როდესაც დადგენილი იქნება ზარალის გამომწვევი ყველა მიზეზი და ასანაზღაურებელი თანხა, ერთი თვის მანძილზე გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება;
  - მზღვეველი უფლებამოსილია გადაავადოს ანაზღაურება იმ შემთხვევაში, თუ:
    - ტარდება დამოუკიდებელი ექსპერტიზა სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების, გარემოებების და ზარალის მოცულობის დადგენის მიზნით. ამასთან, სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვადა იზრდება ექსპერტიზისათვის საჭირო დროის პერიოდით;
    - არსებობს საფუძვლიანი ეჭვი დამზღვევის ან მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლებამოსილებაში. სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა, ვიდრე არ იქნება წარმოდგენილი უფლებამოსილების დამადასტურებელი მტკიცებულებები;
    - შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) ორგანოების მიერ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე სადაზღვევო შემთხვევაზე, დაზღვეულის/მოსარგებლის მიმართ გამოძიების დასრულებამდე;
  - მზღვეველი ვალდებულია, სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე უარის თქმის შემთხვევაში, წერილობით შეატყობინოს დამზღვევს (დაზღვეულს) აღნიშნული ფაქტის შესახებ, მიზეზის მითითებით, 10 დღის ვადაში, მას შემდეგ, რაც გაირკვევა ზარალის გამომწვევი ყველა გარემოება;

➤ პრეტენზიის წარდგენა

სადაზღვევო მომსახურების შესახებ წარმოქმნილი პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია:

- ქოლ-ცენტრთან დაკავშირების გზით ნომერზე: +995 32 2949 949;
- წერილობითი განაცხადით მისამართებზე:
  - ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. #88/15
  - ქ. ბათუმი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #35/31
  - ქ. ქუთაისი, წმ. ნინოს ქ. #1/38
  - ქ. თელავი, ალ. ვარდოშვილის ქ. #22
  - ქ. ახალციხე, თაბუკაშვილის ქ. #15
  - ქ. ზუგდიდი, მ. კოსტავას ქ. #64
- ელექტრონულად ელ. ფოსტაზე: [quality@irao.ge](mailto:quality@irao.ge)

პრეტენზიის განხილვა მოხდება მომხმარებელთა კმაყოფილების მართვის დეპარტამენტის მიერ, წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

მომხმარებლებისთვის შემოსულ პრეტენზიებზე პასუხის მიწოდება ხორციელდება შემოსვლის წყაროს იდენტიურად ან მომხმარებლის მიერ დაფიქსირებული მოთხოვნის შესაბამისად (სატელეფონოდ, წერილობით, ელ. ფოსტაზე).

მომხმარებლებს საშუალება აქვთ, შემოსვლის წყაროს მიუხედავად, მოითხოვონ ოფიციალური წერილობითი პასუხი.

➤ **მზღვეველის საზედამხედველო ორგანო**

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

მისამართი: ქ. თბილისი, ლევან მიქელაძის ქ. #3

ტელ: +995 32 223 44 10

ვებგვერდი: [www.insurance.gov.ge](http://www.insurance.gov.ge)